პროექტი

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 76-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2012 წლის საფინანსო-ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული საქმიანობის, აუდიტის ხარისხის კონტროლისა და შიდა კონტროლის პროცედურების შემმოწმებელი" საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილი გაწეული საქმიანობის ანგარიში მიღებული იქნეს ცნობად.
2. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 21 ნოემბრის №69-Iს დადგენილებით შექმნილ საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიას გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა 3 თვით.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე *დავით უსუფაშვილი*